1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (423)

1976 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 4 (423) აპრილი 1976 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ქ. თბილისის საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანისა და გარდაბნის რაიონში ფონიჭალის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ.

60. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებში.

61. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. გვერდწითელის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. გასვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ზ. სამადალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. ლიპარტელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. მ. ნიორაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლ „ბერიოზკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სსრ მხატვართა კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომხეთის სსრ მხატვართა კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ი. ქარცივაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.
ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

მუხანოვანი ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 „ქ. თბილისის საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანისა და გარდაბნის რაიონში ფონიჭალის სასოფლო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებაში „ქ. თბილისის საზღვრების დამტკიცების შესახებ“ და ქალაქის ტერიტორია განისაზღვროს 34.650 ჰექტარით.

2. ქ. თბილისის კიროვის რაიონის სოღანლუღის დასახლება შეუერთდეს გარდაბნის რაიონს.

3. გარდაბნის რაიონის სოღანლუღის დასახლება მიეკუთვნოს სოფლების კატეგორიას, ეწოდოს სოფელი ფონიჭალა და შეიქმნას ფონიჭალის სასოფლო საბჭო.

4. გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში ჩაატაროს ფონიჭალის სასოფლო საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

5. ქ. თბილისის კიროვის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოში ფონიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიიდან არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ რწმუნებანი გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 13 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების ჩატარების წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში, როდესაც ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში შემავალ დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს შექმნა შეუძლებელია დეპუტატების არარსებობის ან მათი მცირე რაოდენობის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სასოფლო საბჭოში არჩევნებს ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების ზემდგომი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არაუგვიანეს ერთი თვისა მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი შექმნის რაიონულ, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს.

3. საარჩევნო კამპანიის ვადა განისაზღვრება ერთი თვით ნაცვლად „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულებით“ გათვალისწინებული 45 დღისა.

ამის შესაბამისად:

ა) მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო ოლქების სიები ქვეყნდება არაუგვიანეს 27 დღისა არჩევნებამდე;

ბ) რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების და საოლქო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 25 დღისა არჩევნებამდე;

გ) საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების დამტკიცება ხდება არაუგვიანეს 20 დღისა არჩევნებამდე;

დ) ამომრჩეველთა სიებს საყოველთაო გაცნობისათვის მშრომელთა დეპუტატების სათანადო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გამოაკრავს 15 დღით ადრე არჩევნებამდე;

ე) დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია ხდება საოლქო საარჩევნო კომისიებში არაუგვიანეს 10 დღისა არჩევნებამდე; ხოლო ცნობები დეპუტატობის კანდიდატზე და საზოგადოებრივი ორგანიზაციის დასახელება, რომელმაც წამოაყენა კანდიდატი, ქვეყნდება არაუგვიანეს 7 დღისა არჩევნებამდე.

4. ამომრჩევლებს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში „ხმის მიცემის უფლების მოწმობა“ არ მიეცემათ. ამის გამო ხმის მიცემა შეიძლება დამთავრებულად გამოცხადდეს საღამოს 10 საათზე, ადრეც, თუ კი ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ყველა ამომრჩეველი ამ დროისათვის გამოცხადდება არჩევნებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ განათლების, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ განათლების, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროები გარკვეულ მუშაობას ატარებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესების შესასრულებლად.

წინასაარჩევნო კრებებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრებისას, მშრომელებმა დააყენეს მრავალი მნიშვნელოვანი წინადადება, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა განათლების, კავშირგაბმულობის ობიექტების მუშაობას, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას, სკოლების, ბაგა-ბაღების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობას და სხვ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საკითხების გაანალიზების შემდეგ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განსახილველად გადასცა ამომრჩევლების მიერ დეპუტატობის კანდიდატების წინაშე დაყენებული 85 განაწესი, კავშირგაბმულობის სამინისტროს — 75, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს — 70, სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 103, ხოლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს — 70 განაწესი.

აღნიშნულმა სამინისტროებმა ძირითადად დროულად განიხილეს განაწესები და დასახეს ზომები მათ შესასრულებლად.

სამინისტროებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სამმართველოების მიერ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა ამომრჩევლების მიერ დეპუტატების წინაშე დაყენებული ბევრი საკითხის დადებითად გადაჭრა, ხოლო მათი ნაწილის შეტანა მიმდინარე და მომავალი წლების გეგმებში. ასე, მაგალითად, განაწესების გათვალისწინებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1976 წლის გეგმაში შეიტანა 23, ხოლო შემდეგი წლებისათვის — 45 სკოლის მშენებლობა

კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიმდინარე ხუთწლედში გაითვალისწინა 65 განაწესი, რომელთაგან 4 უკვე შესრულებულია: ჩოხატაურის რაიონის სოფელ ნაბეღლავში აიგო ტელერეტრანსლატორი, ქალაქ ბათუმში დამონტაჟებულია 1000 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგური და ა. შ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში შესრულების პროცესშია 16 განაწესი, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროში კი — 23 განაწესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან, დასახელებულ სამინისტროებს ამომრჩეველთა განაწესების განხილვისა და შესრულების საქმეში გააჩნიათ ნაკლოვანებანიც. სოფლის მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებში განაწესებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების აღრიცხვა არ წარმოებს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ადგილი აქვს განაწესების არადანიშნულებისამებრ გაგზავნის ფაქტებს.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ პასუხი განაწესების განხილვის შედეგებზე გაგზავნა დანიშნულებისამებრ სამი თვის შემდეგ, ნაცვლად კანონით დადგენილი ორი კვირისა.

ამომრჩეველთა განაწესების გარკვეული ნაწილი შეუსრულებელია იმის გამოც, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევს იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელთა გამო განაწესები არ სრულდება. მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ 1976 წლის გეგმაში განაწესის მიხედვით გათვალისწინებულია ადიგენის რაიონში საავადმყოფოს მშენებლობა, მაგრამ მისი განხორციელება გაჭიანურდა იმის გამო, რომ აღმასკომის მიერ პროექტი დროულად არ იყო შეთანხმებული საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან.

სამინისტროებში პრაქტიკაში არ არის განაწესების შესრულების შესახებ საკითხების განხილვა კოლეგიების სხდომებზე, დეპუტატების მოწვევა მათი წინადადებების განხილვასთან დაკავშირებით და სხვ.

ყველა დეპუტატისათვის ცნობილი არ არის მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვის შედეგები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს:

ა) სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამომრჩეველთა განაწესების შესრულება მიიჩნიონ თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად. კოლეგიების სხდომებზე რეგულარულად განიხილონ განაწესების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები;

ბ) მეტი პრინციპულობა და მომთხოვნელობა გამოიჩინონ იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ამომრჩეველთა განაწესების დადგენილ ვადებში შესრულებას;

გ) უახლოეს დროში მოაწესრიგონ განაწესების აღრიცხვისა და განხილვის საქმე „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების წინადადებებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვის, რეგისტრაციისა და შესრულების წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1963 წლის 28 აპრილის დადგენილების შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ სხდომებზე ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ საქმის გასაუმჯობესებლად.

3. რესპუბლიკურმა პრესამ, რადიო და ტელევიზიამ მეტი ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობის საკითხებს, ფართოდ გააცნონ მოსახლეობას განაწესების განსახორციელებლად ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების მიერ გაწეული მუშაობა.

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს მეტი ყურადღება მიაქციონ ამომრჩევლების მიერ მათთვის მიცემული განაწესების შესრულების მდგომარეობას და ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ ამომრჩევლებს.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პერიოდულად მოისმინოს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა მოხსენებები განაწესების შესრულების თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 28 აპრილი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები ჩატარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით გამოწვეული დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში და მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის ნიშნით.

რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები მიმდინარეობდა ორგანიზებულად, სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა.

კენჭისყრის შედეგად ყველა რეგისტრირებულმა კანდიდატმა მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეულია სახალხო მოსამართლედ.

სულ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში არჩეულია 168 მოსამართლე.

სახალხო მოსამართლეთა შორის 36 ანუ 21,4 პროცენტი ქალია, რაც 1970 წელთან შედარებით 12 პროცენტით მეტია. 159 (94,6 პროცენტი) სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია, ალკკ წევრია 5 (3,0 პროცენტი).

24 მოსამართლე — 14,3 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა, რაც 1970 წელთან შედარებით 11 პროცენტით მეტია. 64 მოსამართლე (38,1 პროცენტი) არჩეულია პირველად.

სახალხო მოსამართლეების მიერ ანგარიშების ჩაბარებისა და აგრეთვე მოსამართლეობის კანდიდატებთან შეხვედრების დროს ამომრჩევლებმა მათ წაუყენეს ახალი მოთხოვნები და მისცეს მნიშვნელოვანი განაწესები.

ამასთან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებსაც.

ზოგიერთ საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომში ამომრჩეველთა სიების შედგენას პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ, რის შედეგად არჩევნების დამთავრების შემდეგ ამომრჩეველთა რაოდენობა რესპუბლიკაში აღმოჩნდა 7.909-ით მეტი; მათ შორის: აფხაზეთის ასსრ-ში — 1.858, აჭარის ასსრ-ში — 1.110, ბორჯომის რაიონში — 757, ახალქალაქის — 497, ბოგდანოვკის — 165, გარდაბნის — 342, ონის რაიონში — 162 კაცით და სხვ.

სტატისტიკურ ანგარიშში არჩევნების შედეგების შესახებ ქ. თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს აღმასკომმა არაზუსტი ცნობები უჩვენა არჩეულ მოსამართლეთა პარტიულობის შესახებ. კავშირგაბმულობის განყოფილებებმა გურჯაანის რაიონიდან შეცდომით გადმოსცეს რეგისტრირებულ კანდიდატთა შემადგენლობა და ა. შ.

სტატისტიკური ანგარიშები და ოქმები ხმის მიცემის შედეგების შესახებ დიდი დაგვიანებით წარმოადგინეს ახალქალაქის, ახმეტის, ბოგდანოვკის, სამტრედიის, ყაზბეგის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ინფორმაცია რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეისწავლონ სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარებისა და მოსამართლეობის კანდიდატების ამომრჩევლებთან შეხვედრების დროს დაყენებული წინადადებანი და განაწესები, განიხილონ აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მათ შესასრულებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს:

უზრუნველყოს სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების რეგულარული ჩაბარება, მათი სისტემატური გამოსვლა ლექციამოხსენებებით მოსახლეობის წინაშე, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე და ა. შ. სათანადო კონტროლი დააწესოს ამომრჩეველთა წინადადებებისა და განაწესების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 28 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 ამხ. ი. გ. გვერდწითელის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ირაკლი გრიგოლის ძე **გვერდწითელი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 30 აპრილი

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 ამხ. ა. გ. გასვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს განყოფილების უფროსი, კოლეგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი ამხ. ალფეზ გიორგის ძე გასვიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 5 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 ამხ. ი. ზ. სამადალაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი ამხ. ივანე ზაქარიას ძე **სამადალაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 5 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 ამხ. რ. ს. ლიპარტელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. რაფიელ სამსონის ძე **ლიპარტელიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1976 წლის 15 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1976 წლის აპრილში გასტროლების მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებისა და მოსახლეობის ესთეტიკური და ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 21 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. მოსკოვში 1976 წლის მარტში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 30 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 აზერბაიჯანის სსრ მხატვართა კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხატვრო გამოფენის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, **აზერბაიჯანის სსრ მხატვართა კავშირი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 30 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 სომხეთის სსრ მხატვართა კავშირის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სკკპ XXV ყრილობისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხატვრო გამოფენის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, **სომხეთის სსრ მხატვართა კავშირი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 30 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 ამხ. რ. ი. ქარცივაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ქარხნის დირექტორი ამხ. რევაზ იოსების ძე ქარცივაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 30 აპრილი

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ პრეზიდიუმმა თავის 1976 წლის 28 აპრილის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ა. შუშანაშვილის მოხსენება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში.

აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გატარებულ ღონისძიებათა შედეგად ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უკანასკნელ წლებში გარკვეული მუშაობა განახორციელეს გაფლანგვა-გატაცებით სოციალისტური ქონებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების საქმეში.

ამასთან, რესპუბლიკაში 1975 წელს, 1974 წელთან შედარებით გაიზარდა გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ოდენობა, ხოლო ანაზღაურების საქმეში არის ნაკლოვანებანი.

ადმინისტრაციული ორგანოები სათანადო მუშაობას არ ეწევიან გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის.

მოკვლევისა და საგამოძიებო ორგანოები ხშირად ვერ ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს დამნაშავე პირთა ქონებრივი მდგომარეობის დადგენისა ან გადამალული ქონების აღმოჩენისათვის, სწორად არ წარმოებს ქონების აღწერა-დაყადაღება. არის შემთხვევები, როდესაც დაყადაღებულია ნივთი, რომლის რეალიზაცია შეუძლებელია მისი ამორტიზაციის გამო, მითითებული არ არის ნივთის ინდივიდუალური ნიშნები და ღირებულება, რაც დამნაშავეებს საშუალებას აძლევს შეცვალონ იგი ნაკლებღირებულით, დასაყადაღებელი ნივთების შეფასებისას არ იწვევენ ვაჭრობისა და სხვა დარგის სპეციალისტებს.

შინაგან საქმეთა და პროკურატურის ორგანოები ყოველთვის არ იღებენ ზომებს გატაცებული ქონების აღმოსაჩენად და ზოგჯერ უსაფუძვლოდ გამოაქვთ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არ აღძვრის ან საქმის შეწყვეტის შესახებ.

როგორც წესი, ქონების აღწერა-დაყადაღების დროს არ ისწრებენ დაზარალებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საქმეში არსებითი დარღვევები აქვთ სასამართლო ორგანოებსაც. არის აღმასრულებელი ფურცლების დაგვიანებით გაგზავნისა და აღსრულების ფაქტები.

ხშირად თვეობით ჭიანურდება აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის საქმეთა განხილვა, ამასთან, ადგილი აქვს არასწორი გადაწყვეტილებების გამოტანას. არასაკმარისია სახალხო მოსამართლეთა კონტროლი და დახმარება სასამართლო აღმასრულებლებისადმი. იშვიათად ტარდება მოვალეთა ქონებრივი მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება. ამ საქმეში თითქმის არ არიან ჩაბმული დაინტერესებული ორგანიზაციები, მშრომელთა კოლექტივები, მსაჯულთა საბჭოების და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოწესრიგებული არ არის აღმასრულებელი ფურცლების გადაგზავნის საქმე შრომა-გასწორების დაწესებულებებში.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ქმედით ზომებს არ იღებს მათთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებისათვის, დაგვიანებით გადასცემს მასალებს გამოვლენილი დავალიანების შესახებ მომკვლევ და საგამოძიებო ორგანოებს, დახმარებას არ უწევს სასამართლო ორგანოებს გადამალული ქონების აღმოჩენაში, ზოგჯერ დამნაშავე პირებს არ უდგენს სამოქალაქო სარჩელს მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. როგორც წესი, დაზარალებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები არ ღებულობენ მონაწილეობას სასამართლოებში ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას. სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და იურიდიული სამსახურის მუშაკები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენს იმ სასამართლო აღმასრულებელთა მიმართ, რომლებიც ცუდად მუშაობენ, პრაქტიკაში არ აქვს დანერგილი კარგი მუშაობისათვის წახალისების სხვადასხვა ფორმები და, რაც მთავარია, არ აწარმოებს ამ მიმართულებით ცალკეული აღმასრულებლების მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადება-დანერგვას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მატერიალურ ფასეულობათა დაცვას, იშვიათად იხილავენ უყაირათობის, სოციალისტური საკუთრების განიავების, გაფლანგვა-გატაცების, წვრილმანი ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლასთან და დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ საქმიანობაში ნაკლებად არიან ჩაბმული მუდმივი კომისიები, დეპუტატები, ამხანაგური სასამართლოები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, უზრუნველყონ სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ცხოვრებაში განუხრელი გატარება. გადაჭრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააუმჯობესოს მუშაობა გაფლანგვა-გატაცების წარმომშობი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების გამოსავლენად და მათ აღმოსაფხვრელად, ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ პროკურატურას რეკომენდაცია მისცა მუშაობა წარმართონ ისე, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეთა მოკვლევისა და გამოძიებისას მიაღწიონ გატაცებული ქონების გამოვლენას და მატერიალური ზარალის მაქსიმალურ ანაზღაურებას.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს წინადადება მისცა გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების შესახებ საქმეთა განხილვისას გააძლიეროს ზედამხედველობა სასამართლოების მიერ კანონმდებლობის დაცვაზე. დროულად მოახდინოს რეაგირება სახალხო სასამართლოებისა და საგამოძიებო ორგანოების მიერ ამ საკითხში დაშვებულ დარღვევებზე.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაცია მისცა:

ადმინისტრაციულ ორგანოებთან, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად სისტემატურად განიხილოს დანაშაულებრივი გზით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მდგომარეობის საკითხი და მიიღოს ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

მეტი ყურადღება მიაქციოს სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობის გაუმჯობესებას, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებას, წახალისებას. დანაშაულებრივი ქმედობით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საქმეში მეტად ჩააბას სახალხო მსაჯულები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მისცა უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფ მსჯავრდებულებზე დაკისრებული თანხების დაკავება და დროული გადარიცხვა დაზარალებული ორგანიზაციებისათვის, ასევე სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებული ან იძულებითი წესით სამუშაოდ გაგზავნილი პირების მიმართ სააღსრულებო საქმისწარმოების დაუყოვნებლივ გადაგზავნა დანიშნულებისამებრ.

საქართველოს სსრ პროკურატურას რეკომენდაცია მისცა გააძლიეროს ზედამხედველობა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესრულებაზე. სისტემატურად შეამოწმოს ქონების აღწერის, დაყადაღებისა და ამოღების სისწორე მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების პროცესში.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა:

არ დაუშვან გამოვლენილ მატერიალურ ზარალზე საგამოძიებო ორგანოებისათვის მასალების დაგვიანებით გადაცემის შემთხვევები;

დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური საკუ-

№ 1 ეროვნული ბიბლიოთეკა

რების დაცვისა და დანაშაულებრივი გზით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხებს;

პერიოდულად მოისმინონ თავიანთ სხდომებზე ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელების, საფინანსო და იურიდიული სამსახურის მუშაკთა მოხსენებები გაფლანგვა-გატაცებით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების მდგომარეობის შესახებ და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება მისცა ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს აღწერილი ნივთების შეფასებისა და დაყადაღებული ქონების რეალიზაციის საქმეში.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა პერიოდულად შეამოწმონ და განიხილონ წარმოება-დაწესებულებებში გაფლანგვა-გატაცების შედეგად გამოწვეული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი და ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ამ საქმეში უფრო ფართოდ ჩააბან საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აქტივი.

კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების მუშაობის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოციალისტური საკუთრების დაცვისა და დანაშაულებრივი გზით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე განხილულ იქნა რესპუბლიკაში ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის ღონისძიებანი და რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და შიდა წყალსაცავებში თევზის მარაგის დაცვისა და მომრავლების მდგომარეობა.

ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დაცვის საკითხზე კომისიებმა მოისმინეს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის მდივნის, დეპუტატ მ. მდივანის მოხსენება.

აღინიშნა, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბოლოდროინდელ დადგენილებათა საფუძველზე რესპუბლიკის შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სატყეო მეურნეობებმა და „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებმა სათანადო ღონისძიებანი განახორციელეს ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვისათვის. მეცხრე ხუთწლედში რესპუბლიკაში გატყევებულია 25,8 ათასი ჰექტარი ეროზიული ფართობი, მოეწყო ტერასები 2.406

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰექტარ ფართობზე. ეროზიისა და ღვარცოფსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობაზე დახარჯულია 28.3 მილიონი მანეთი.

ამასთან, რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო, უწყება, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არ აწარმოებენ სისტემატურ მუშაობას ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული მოვლენების წინააღმდეგ. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა გატყევებული ფართობების, მინდორსაცავი ტყის ზოლების და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მოწყობილი ტერასების მოვლა-პატრონობას.

აღინიშნა, რომ ნიადაგის ეროზიას ხელს უწყობს აგრეთვე თესლბრუნვაში კულტურათა მორიგეობის დარღვევა, სარწყავი წყლების არარაციონალური გამოყენება, რწყვის წესების დარღვევა და სხვ.

ვერ შესრულდა კოლმეურნეობებში მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენების 1974 და 1975 წლების გეგმები.

რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და შიდა წყალსატევებში თევზის მარაგის დაცვისა და მომრავლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის 1974 წლის 3 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის წევრმა, დეპუტატმა გ. ზაუტაშვილმა.

აღინიშნა, რომ სათანადო უწყებებმა და ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის ამ დადგენილების შესასრულებლად.

ტერიტორიულ წყლებსა და შიდა წყალსატევებში ჩამდინარე გაჭუჭყიანებული წყლების გასაწმენდად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი.

გარკვეული ზომები გატარდა თევზის მომრავლების მიზნით.

ბრაკონიერობასა და თევზჭერის წესების დარღვევებთან ბრძოლაში უფრო აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრიობა.

ამასთან ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის 1974 წლის 3 ოქტომბრის დადგენილების შესრულების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

ხშირია თევზჭერის წესების უხეში დარღვევები. საქართველოს შავი ზღვის აუზის თევზის მარაგის დაცვის, აღწარმოებისა და თევზჭერის რეგულირების სამმართველოს სახელმწიფო ინსპექტორების და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ 1975 წელს გამოვლენილია თევზჭერის წესების დარღვევის 5.108 შემთხვევა.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიების წევრები, დეპუტატები გ. მგელაძე, თ. იმედაძე, ა. მოვსესიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, დეპუტატი გ. ჯავახიშვილი, საქართვე-

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. რთველიაშვილი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე მ. პაპისოვი, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. გასანოვი, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. გიგაური და სხვები.

კომისიების მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ნატროშვილმა.

* * *

კულტურის მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა კომისიის წევრის, დეპუტატ ლ. ღოღობერიძის მოხსენება სოფლის მოსახლეობის კინომომსახურების თაობაზე კულტურის მუდმივი კომისიის 1972 წლის 13 ივნისის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და სიტყვებით გამოსულმა მუდმივი კომისიის წევრმა, დეპუტატმა ბ. მახარაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ძიძიგურმა, კულტურის მინისტრის მოადგილემ ვ. კუპრავამ, სოფლის მეურნეობის და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ა. იაკობიძემ, „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჭყონიამ, მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა, ქარელისა და ხაშურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების მოადგილეებმა ა. ტაბატაძემ და გ. გოგოლაძემ აღნიშნეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მუდმივი კომისიის ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად.

ამასთან, სოფლის მოსახლეობის კინომომსახურება ჯერ კიდევ ვერ დგას იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი დადგენილებებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის კინოქსელში გადაჭარბებით შესრულდა გასული წლის შემოსავლების გეგმები, სოფლის ქსელში იგი არ შესრულებულა.

სოფლის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ კინომომსახურების გარეშეა დარჩენილი (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ზუგდიდის, ახმეტის, თეთრი წყაროს რაიონებში).

რიგ სოფლებში კლუბებისა და კინოსაჩვენებელი დარბაზების ავარიული მდგომარეობის გამო არ ტარდება კინოსეანსები (ონის, მარნეულის, დუშეთის, ქარელის რაიონები), ზოგიერთი კლუბის შენობა საწყობადაა გამოყენებული (სამტრედიის, ზუგდიდის, ხობის, წალკის, ახალციხის რაიონები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის კლუბები, რომლებშიც ეწყობა კინოსურათების დემონსტრირება, უზრუნველყოფილი არ არის სათანადო ინვენტარით, გათბობით, ვენტილაციით.

არ ტარდება კინოფესტივალები, კვირეულები, ფილმების თემატური ჩვენებები, შეხვედრები კინოს გამოჩენილ მოღვაწეებთან, მუშაობის მოწინავე მეთოდების გამოცდილების გაზიარება და სხვ.

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული საბჭოს აღმასკომი არ იღებს ზომებს მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესებისათვის.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნ. დუმბაძემ.

* * *

მუდმივმა კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებები.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეების, თავმჯდომარეთა მოადგილეებისა და მდივნების თათბირი.

სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ამოცანებისა და მათი როლის შემდგომი ამაღლების შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ჯ. პატიაშვილმა, სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. დ. მაღალაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. კვაჭაძემ და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მომსახურების ჯგუფის გამგემ ამხ. შ. გვარამაძემ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. პ. გილაშვილმა.

საინფორმაციო ცნობები

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ

კვირას, 1976 წლის 11 აპრილს, გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

ხმის მიცემა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები ყველგან ჩატარდა ორგანიზებულად. სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99.99 პროცენტმა. საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99.98 პროცენტმა, წინააღმდეგ — 0.02 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეობის ყველა 168 კანდიდატმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 61-ე მუხლის შესაბამისად არჩეულ იქნა სახალხო მოსამართლედ.

ახლად არჩეულ საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობაში 36 ქალია, ანუ საერთო რიცხვის 21.4 პროცენტი. 159 სახალხო მოსამართლე ანუ 94.6 პროცენტი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია. 67 სახალხო მოსამართლე ანუ 39.9 პროცენტი. ადრე არ ყოფილა არჩეული სახალხო მოსამართლედ.

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 213 მრავალშვილიანი დედა. მათ შორის:

ქ. თბილისიდან		14
ქ. გორიდან		5
ქ. რუსთავიდან		5
ქ. ტყიბულიდან		10
ადიგენის	რაიონიდან	9
ახალქალაქის	„	13
ახალციხის	„	9
ახმეტის	„	11
ბორჯომის	„	5
გარდაბნის	„	10
დმანისის	„	48
ზესტაფონის	„	8
ზუგდიდის	„	5
თელავის	„	2
თერჯოლის	„	5
თიანეთის	„	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენტეხის	რაიონიდან	18
მაიაკოვსკის	„	7
მესტიის	„	6
მცხეთის	„	4
ორჯონიკიძის	„	4
ქარელის	„	12

* * *

სსრ კავშირის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 აპრილის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 375 კაცი, მათ შორის:

ქ. თბილისის	ლენინის	51
„	პირველი მაისის	5
„	კალინინის	31
„	კიროვის	11
„	ორჯონიკიძის	40
„	ოქტომბრის	23
„	საქარხნო	20
ქალაქ	გორიდან	9
„	რუსთავიდან	8
„	ქუთაისიდან	33
ბოგდანოვკის	რაიონიდან	6
ბოლნისის	„	3
გარდაბნის	„	29
ვანის	„	23
ზესტაფონის	„	44
თელავის	„	4
ლენტეხის	„	2
მაიაკოვსკის	„	2
მარნეულის	„	2
წალკის	„	7
ხაშურის	„	22

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 13 და 28 აპრილის ბრძანებულებებით საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წალენჯიხის რაიონში — ჯვარის სადაბო საბჭოს გამოეყო სოფელი ჩქვალერი და შეიქმნა ჩქვალერის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ჩქვალერში.

სოფელ ჩქვალერიდან ჯვარის სადაბო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი ჩქვალერის სასოფლო საბჭოში.

ბოლნისის რაიონში — იმირასანის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი იმირასანი და მიეკუთვნა ფახრალოს სასოფლო საბჭოს.

იმირასანის სასოფლო საბჭოს ცენტრის სახელწოდების შესაბამისად ეწოდა არუხლოს სასოფლო საბჭო.

სოფელ იმირასანიდან იმირასანის სასოფლო საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი ფახრალოს სასოფლო საბჭოში.

ხაშურის რაიონში — გაუქმდა წრომის სასოფლო საბჭოს სოფელი ვაკეპანტები მოსახლეობის სხვა ადგილებში ჩასახლების გამო.